საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 02

ქ. ბათუმი 25 აპრილი, 2017წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №28 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს **2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილებაში** შევიდეს დამატება, კერძოდ, გადაწყვეტილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1, პუნქტი:
   „1^1. 2016-2017 სასწავლო წლისათვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური დატვირთვა განისაზღვროს შემდეგი გამონაკლისებით:
   ა) ასოც. პროფ. მაია კიკვაძეს არასააუდიტორიო დატვირთვა - დოქტორანტის ხელმძღვანელობა ჩაეთვალოს ძირითად დატვირთვად;

ბ) ასოც. პროფ. მაია კიკვაძის 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დატვირთვით გათვალისწინებული საათების გადანაწილების გამო, ქვემოთ ჩამოთვლილ აკადემიურ პერსონალს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს №63-ე დადგენილებით გათვალისწინებული საათობრივი ანაზღაურების წესით შესასრულებელი დატვირთვების დასაშვებ რაოდენობაზე გამონაკლისის სახით დაემატოთ: პროფ. რამაზ ხალვაშს - 60 საათი; ასოც. პროფ. გურამ ბახტაძეს - 15 საათი; ასოც. პროფ. ნანა ცეცხლაძეს - 55 საათი; ასისტ. პროფ. დიანა ახვლედიანს - 50 საათი.

2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურს, კანცელარიას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ.ბარათაშვილი**